აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №27

17 ნოემბერი 2016 წელი **ქ. ბათუმი**
12^{00} საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე, შორენა ჭაღალიძე, მამუკა კოპალეიშვილი, ნუგზარ ბაჯელიძე, კახაბერ ჯაიანი, ირაკლი გვარამია და მამუკა ჯაში.

არ ესწრებოდა: მაკა ლომაძე.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამება;

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამება;

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს მასმედიის წარმომადგენლებს, დამკვირვებელ ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს მადლობა გადაუხადა და მიულოცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების წარმატებით დასრულება. მადლობა გადაუხადა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებს, უსკოს აპარატის ყველა თანამშრომელს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს გაწეული სამუშაოს შესრულებისთვის, რომელიც მათ გაწიეს საარჩევნო პერიოდში და სიტყვა გადასცა უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანს სოფიო კახაძეს გაეცნო კომისიის წევრებისათვის და დამსწრე საზოგადოებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგები.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანმა, სოფიო კახაძემ კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემები.

- **ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა:** **308 506**
- **ყოველი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა:**

მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №	ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა
68	53 062
69	53 035
70	52 866
71	49 319
72	48 109
73	52 115

- **პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა: 163 419**

- **საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა:**

№	პარტიის/ბლოკის დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	%	მიღებული მანდატების რაოდენობა
1	პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის	4 616	2,93	
3	ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა	9 268	5,89	1
5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	46 628	29,62	5
6	უსუფაშვილი - რესპუბლიკელები	2 363	1,5	
7	თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის	348	0,22	
8	დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	8 980	5,7	1
10	შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია	3 834	2,44	
14	დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისთვის	293	0,19	
16	საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია	272	0,17	
19	თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო	1 714	1,09	
23	ჩვენები - სახალხო პარტია	354	0,22	
26	ეროვნული ფორუმი	1 624	1,03	
27	ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები	4 952	3,15	
32	მურმან დუმბაძე - მედეა ვასაძე - ემსახურე საქართველოს	1 133	0,72	
41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	71 039	45,13	8

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების მიხედვით საარჩევნო სუბიექტების (პროპორციული, მაჟორიტარული) მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა:**

3 „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“ - 1 მანდატი;

5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 5 მანდატი;

8 „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - 1 მანდატი;

41 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - 14 მანდატი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა კახაბერ ჯაიანმა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა უსკოში პეტრე ზამბახიძემ და კომისიის წევრმა ზურაბ გოლიაძემ.

კომისიის წევრმა კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, რომ მას აქვს განსხვავებული აზრი და უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს წერილობით დაურთავს.

(თან ერთვის)

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, პერტე ზამბახიძემ აღნიშნა, რომ საარჩევნო პროცესი არა მარტო მათი შეფასებით, ასევე დამკვირვებელი ორგანიზაციების შეფასებით მიმდინარეობდა დარღვევებით და მათ ამის დამადასტურებელი ვიდეო მასალა გამოაქვეყნეს. მან აღნიშნა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიები პირდაპირ იყვნენ გარიგებული ხელისუფლებასთან, 2016 წლის არჩევნები იყო ერთადერთი არჩევნები სადაც არცერთი საეჭვო საარჩევნო უბნის ხმები არ გადათვლილა და საერთო ფონზე ის შედეგი რაც დადგა ვერ იქნებოდა ისეთი როგორიცაა. ასევე აღნიშნა, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ მომავალი არჩევნები გაყალბებისა და საარჩევნო პროცესების დარღვევის გარეშე ჩატარდეს.

კომისიის წევრმა ზურაბ გოლიაძემ აღნიშნა, რომ არჩევნების პროცესი მთლიანობაში მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა და ამომრჩევლებმა თავისუფლად გამოხატეს თავიანთი ნება, მან აღნიშნა, რომ იმ საარჩევნო უბნებზე, რომლებზეც დარღვევებთან დაკავშირებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამოქვეყნებული იქნა ვიდეო მასალა, არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღეს უსკოს წევრები იმყოფებოდნენ, სადაც არსებითი დარღვევები, რომელიც არჩევნების შედეგებზე იმოქმედებდა არ დაფიქსირებულა. ასევე აღნიშნა, რომ უსკოში არ შემოსულა არცერთი საჩივარი დარღვევებთან დაკავშირებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ და კომისიის მდივანმა, სოფიო კახაძემ ხელი მოაწერეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, კიდევ ერთხელ მიულოცა დამსწრე საზოგადოებასა და საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამება და არჩევნების დასრულება.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	**პარმენ ჯალაღონია**
კომისიის მდივანი	**სოფიო კახაძე**